საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ

2023 წელი

26.08.2024
www.geostat.ge

26.08.2024

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ 2023 წელი

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2023 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 2 435 ეკონომიკური სუბიექტი[1], რომლებიც ფლობდნენ 2 488 სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებას (ადგილობრივი ერთეულებისა და ფილიალების ჩათვლით). აღნიშნული მაჩვენებელი 12.4 პროცენტით მეტია 2022 წელთან შედარებით.

სასტუმროს მომსახურებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა „ინდივიდუალური მეწარმე“, რომელიც შეადგენდა 2023 წელს მოქმედი სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო რაოდენობის 60.0 პროცენტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით.

დიაგრამა №1

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 2023 წელს



[1]საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები.

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების 99.7 პროცენტი კერძო საკუთრებაში იყო, ხოლო 0.3 პროცენტი - სახელმწიფო საკუთრებაში.

2023 წელს საქართველოში მოქმედი სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო ფართობი 3 729.5 ათას კვადრატულ მეტრს (2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 16.7 პროცენტით მეტს) შეადგენდა, საიდანაც უშუალოდ ნომრების საცხოვრებელი ფართი 1 557.3 ათასი კვადრატული მეტრი იყო (2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4.5 პროცენტით მეტი).

2023 წელს მოქმედ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ადგილების საერთო რაოდენობამ 107.7 ათასი შეადგინა, რაც 10.1 პროცენტით მეტია 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ნომრების საერთო რაოდენობა 2023 წელს წინა წელთან შედარებით 9.5 პროცენტით გაიზარდა და 50.1 ათასი შეადგინა.

ცხრილი №1

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში არსებული ნომრების რაოდენობის განაწილება კატეგორიების მიხედვით 2022-2023 წლებში

	2022 წელი	2023 წელი
ლუქსი	3 280	3 468
ერთადგილიანი	5 554	6 098
ორადგილიანი	27 798	30 191
სამი და მეტი ადგილით	9 175	10 388
სულ	**45 807**	**50 145**

2023 წელს საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 5.0 მილიონ სტუმარს მოემსახურა, რაც 1.2 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. სტუმართა 60.2 პროცენტს უცხოელები შეადგენდნენ და მათი უმეტესობა, 355.0 ათასი (სტუმრების ჯამური რაოდენობის 11.8 პროცენტი), რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იყო, რაც 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4.0 პროცენტით ნაკლებია. ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული სტუმრები უცხოელი სტუმრების 7.2 პროცენტს შეადგენდნენ, რომელთა უმეტესობა გერმანიისა (ევროკავშირის მოქალაქე სტუმრების 29.2 პროცენტი) და პოლონეთის (ევროკავშირის მოქალაქე სტუმრების 26.6 პროცენტი) მოქალაქეები იყვნენ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2022-2023 წლებში სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილებას ქვეყნების მიხედვით.

26.08.2024

დიაგრამა №2

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით 2022-2023 წლებში



2023 წელს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებს უმეტესად სტუმრობდნენ რეკრეაციისა და დასვენების მიზნით (86.3 პროცენტი).

ცხრილი №2

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების განაწილება მიზნის მიხედვით 2023 წელს, ათასი

	რაოდენობა	%
რეკრეაცია და დასვენება	2 597.4	86.3
საქმიანი და პროფესიული	217.1	7.2
მკურნალობა	21.9	0.7
სხვა მიზანი	173.1	5.8
სულ	**3 009.5**	**100.0**

26.08.2024

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში რეკრეაციისა და დასვენების მიზნით განთავსებული უცხოელი სტუმრების უმეტესობას ისრაელისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები წარმოადგენდნენ (შესაბამისად, 12.7 და 11.7 პროცენტი).

2023 წელს საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებული იყო 26 495 ადამიანი, რომელთა უმეტესობას (54.3 პროცენტს) ქალები წარმოადგენდნენ.

დიაგრამა №3

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა 2021-2022 წლებში



შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge